პოლიტიკური პარტიების პოპულისტური დისკურსის გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე

გურანდა თედეშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ზარინა ბურკაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გურანდა თედეშვილი

28.05.2025

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ახდენდა საქართველოს საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების პოპულისტური დისკურსი გავლენას სახელმწიფოს ევროინტეგრაციის პროცესზე 2012–2024 წლებში. კვლევის მიზანია გაანალიზოს, როგორ იცვლებოდა და ვითარდებოდა პოპულისტური რიტორიკა აღნიშნულ პერიოდში, როგორ წარმოადგენდნენ პარტიები ევროკავშირთან ინტეგრაციის თემას საკუთარ პოლიტიკურ მიზნებთან მიმართებაში და როგორ მოქმედებდა ეს დისკურსი საზოგადოებრივი აღქმის ჩამოყალიბებაზე.

საკვლევ პერიოდად შერჩეულია 2012–2024 წლები, შემდეგი პერიოდიზაციით: 2012–2016, 2017–2021 და 2022–2024. აღნიშნული პერიოდიზაციის მიზანია დისკურსის ტრანსფორმაციის დინამიკის განსაზღვრა და იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების გაანალიზება, რომლებიც გავლენას ახდენდნენ პარტიული ნარატივების ცვლილებაზე ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხების მიმართ.

თეორიულად, ნაშრომი ეყრდნობა პოპულიზმის თეორიებს (მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებებით), ევროპეიზაციის პროცესის გააზრების სხვადასხვა პარადიგმებს, აგრეთვე ნაციონალიზმის ეთნო-სიმბოლისტურ ინტერპრეტაციებს.

მეთოდოლოგიურად კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია თვისებრივი დისკურს-ანალიზი, რომელიც ხორციელდება NVivo-ს პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. ანალიზის საგანს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების ლიდერების საჯარო გამოსვლები, პარტიული დოკუმენტები და მედია განცხადებები.

კოდირების პროცესის შედეგად იდენტიფიცირებულია ძირითადი დისკურსული თემები, როგორებიცაა: „ევროინტეგრაცია“, „ეროვნული სუვერენიტეტი“, „ეკონომიკური პრობლემები“, „იდენტობა“, „ისტორია“, „ხალხი“, „საფრთხე“,

„ტრადიციები“, „წარსული“, „მომავალი“ და „ჩვენ“ vs „ისინი“-ს დიქოტომიური დაყოფა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოპულისტური დისკურსი სხვადასხვა პერიოდში განსხვავდებოდა როგორც რიტორიკული სტრატეგიით, ისე შინაარსობრივი მახასიათებლებით. 2022 წლიდან განსაკუთრებით გამოიკვეთა მემარჯვენე პოპულისტური თემების ინტენსიობა, რაც დაკავშირებულია ევროინტეგრაციის პროცესის კრიტიკასა და სუვერენიტეტის, იდენტობის დაცვის რიტორიკის გაძლიერებასთან. აღნიშნულმა დისკურსმა საზოგადოებაში გაზარდა ევროინტეგრაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან ჩამოყალიბდა ევროინტეგრაციისადმი როგორც შესაძლო სუვერენიტეტისა და იდენტობის დაკარგვის საფრთხისადმი აღქმა.

მეორეს მხრივ, მემარცხენე პოპულისტური ელემენტები ნაკლებად დომინანტურად ვლინდება მმართველი პარტიის დისკურსში და უფრო ხშირია ოპოზიციური პარტიების რიტორიკაში, სადაც ევროინტეგრაცია წარმოდგენილია როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტი.

შედეგად, ნაშრომი აჩვენებს, რომ პოპულისტური დისკურსი მოქმედებს როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც პარტიები კონტექსტუალურად გარდაქმნიან და განსაზღვრავენ ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკურ მნიშვნელობას, საზოგადოებრივ აღქმასა და დამოკიდებულებას.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, ეროვნული სუვერენიტეტი, ხალხი, ელიტა, ეკონომიკური პრობლემები, საფრთხე, ეროვნული იდენტობა

Abstract

This thesis investigates how the populist discourse of Georgia's parliamentary political parties influenced the country's EU integration process between 2012 and 2024. The aim of the research is to analyze how populist rhetoric evolved throughout this period, how parties framed the topic of EU integration within their political strategies, and how this discourse contributed to shaping public perceptions of the EU integration process.

The selected time frame—2012 to 2024—is divided into three periods: 2012–2016, 2017–2021, and 2022–2024. This periodization allows for the assessment of discursive transformations over time and the analysis of how significant political and social developments influenced the populist narratives about EU integration.

The theoretical framework of the thesis bases on populism theory (both left-wing and right-wing), Europeanization theory and ethno-symbolist interpretations of nationalism. Methodologically, the research is based on qualitative discourse analysis supported by NVivo software. The dataset includes public speeches of political leaders, party documents, and official statements.

Through coding, key discursive themes were identified, including "European Integration," "national sovereignty," "economic problems," "identity," "history," "the people," "threat," "traditions," "the past," "the future," and binary oppositions such as "us" vs. "them."

The findings approve that the use of populist discourse varied across periods both in form and substance. From 2022 onward, right-wing populist themes intensified, particularly emphasizing the threat to national identity and sovereignty allegedly posed by EU integration. This discourse contributed to growing public skepticism toward the integration process, as it framed it as a potential loss of national identity.

Conversely, left-wing populist themes were more prevalent in the rhetoric of opposition parties, portraying EU integration as a solution to socioeconomic inequality and a path toward

justice. These themes declined in salience over time and were less pronounced in the ruling party's discourse.

In conclusion, the study demonstrates that populist discourse functions as a powerful political instrument through which parties strategically construct and reframe the meaning and public significance of EU integration within the context of domestic political competition.

Key Words: European Integration, National Sovereignty, The People, The Elites, Economical Issues, Danger, National Identity

მადლობა

პირველ რიგში, მსურს მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის თითოეულ წარმომადგენელს კვლევის პროცესის მიმდინარეობისას მხარდაჭერის, ინფორმირებისა და კონსულტაციებისთვის.

განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემი სამეცნიერო კვლევის ხელმძღანელს, ზარინა ბურკაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარების, რეკომენდაციებისა და კრიტიკული შენიშვნებისთვის, რომლებმაც ჩემი კვლევა საინტერესო და ღირებული გახადა.